

# ପ୍ରମାଣ ଗୀତ

፩ ፪ ፫ ፬ ፭ ፮ ፯



# Вукол Михайлович БЕРИДЗЕ Биобиблиография

# Vukol BERIDZE

## Biobibliography

„მეცნიერება“  
2006



ဒုဂ္ဂန်လှ  
နေဂတ်

(1883-1963)

ပါတ်ပါပဲလွှာကြောဖွား



ဒာမာမဖောမလွှာ „မျှဖြော်ရေား“  
တပိုလ်ဝင်

2006

**Ву́кол  
Михаи́лович  
БЕРИДЗЕ  
(1883 – 1963)**

Биобиблиография

**Vukol  
BERIDZE  
(1883 – 1963)**

Biobibliography

---

“Мецниереба” Тбилиси  
“Metsniereba” Tbilisi  
2006

გამოიჩინდა ქართველი ენათვეზნიტისა და რესტველოლოგის, ხაფურ-თველის მეცნიერებათა ძალების წევრ-ეკოლოგისანდენტის, ვებგველ პერიოდის ბიობილიოგრაფია მოიცავს 1901-2005 წლების ლიტერატურას. ნაშრომში შედის სამეცნიერო კალენდარი, სამეცნიერო პოპულარული და მისი რელაქციით გამოიყენება შრომები, აღმოფენები და მასთან მიმდინარეობის შესახებ.

କାଳାଲ୍ପା ହୀନିଲ୍ଲାଙ୍ଗମିଲ୍ଲାଙ୍ଗା କ୍ରିସ୍ତିନ୍ଦ୍ରମଣ୍ଡଳୀରୁ-ଅନ୍ଧାର୍ଯ୍ୟରେ ରଖିଥାଏ, ମାନ୍ଦ୍ରାମିଲ୍ଲାଙ୍ଗମିଲ୍ଲାଙ୍ଗା ଫୁଲରେ ବୁଝ ପୁଲାଙ୍ଗିଲୁଛି ଏହାରେ କ୍ରିସ୍ତିନ୍ଦ୍ରମଣ୍ଡଳୀରୁ ଓ କାଳାଲ୍ପାକାଳିଶାଖାମଣ୍ଡଳୀରୁ ମିଳିଲୁଛି ଏହାରେ ମାନ୍ଦ୍ରାମିଲ୍ଲାଙ୍ଗମିଲ୍ଲାଙ୍ଗା, କ୍ରିସ୍ତିନ୍ଦ୍ରମଣ୍ଡଳୀରୁ ଓ ମାନ୍ଦ୍ରାମିଲ୍ଲାଙ୍ଗମିଲ୍ଲାଙ୍ଗା ମିଳିଲୁଛି ଏହାରେ ଅନ୍ଧାର୍ଯ୍ୟରେ ଏହାରେ କାଳାଲ୍ପା ହୀନିଲ୍ଲାଙ୍ଗମିଲ୍ଲାଙ୍ଗା କାଳାଲ୍ପାକାଳିଶାଖାମଣ୍ଡଳୀରୁ ମିଳିଲୁଛି ଏହାରେ

Библиография выдающегося грузинского языковеда и русиста, члена-корреспондента Академии наук Грузии, В.М.Беридзе содержит литературу, охватывающую 1901-2005 гг. В библиографии представлены научно-исследовательские, научно-популярные труды и труды, опубликованные под редакцией ученого, а также литература о В.М.Беридзе.

Материал расположен в хронологico-алфавитном порядке. Биобиблиографии пред-  
послан краткий обзор научной и общественной деятельности ученого, затем следует  
перечень основных дат жизни и деятельности В.М.Беридзе. Прилагается алфавитный  
указатель трудов и именной указатель.

The biobibliography of an outstanding Georgian linguist and rustvelologist, corresponding-member of Georgian Academy of Sciences V.Beridze involves the literature of 1901-2005 years: the scientific-research works, the scientific-popular works, works edited by him and literature dedicated to V.Beridze.

The material is arranged in chronological-alphabetical order. The biobibliography is prefaced by a short review of scientific and public activities and dates of his life and activity. Alphabetic index of principal works and name index are applied.

ბიობიბლიოთეკრატიული სერიის მთავარი სარგებლებით კოდაგია: ა. აფაქიძე  
(მთ. რედ.), პ. ლომინაძე, ე. გამურელიძე, შ. ხალუქევიძე, გ. ვაჟალესინი, მ. ხალილ  
შვილი, თ. რიჩარდი, მ. ნათოშვილი, გ. თევზაძე, რ. მეტროვალი, ს. ციციშვილი, ნ.  
გურიაშვილი (შეივარი), ც. კოლორტავრი.

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ୍ ପାଠ ଶାନ୍ତିକାଣ୍ଡା ଓ କାମକାଳେ  
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ୍ ପାଠ ଶାନ୍ତିକାଣ୍ଡା ଓ କାମକାଳେ

Главная редакционная коллегия биобиблиографической серии: Г.А.М.Алакидзе (глав. ред.), Дж.Г.Ломинадзе, Е.П.Гамкрелidze, М.Е.Салуквадзе, Г.Г.Гвелесишвили, М.М.Залапишвили, Т.Н.Ониани, О.Г.Натишвили, Г.В.Тевзадзе, Р.В.Метревели, Г.Ш.Цинцавиши, Н.Д.Пирцхалава (секретарь), Д.Л.Кологури.

Составители: М.И.Баркова, Ц.А.Квачалга

Редакторы: Г.Ш.Киарадзе, Н.Д.Пирцхадзе

Библиографический редактор И.М. Щулугчава

## ვუკოლ ბერიძე

(ცხოვრებისა და სამეცნიერო—პედაგოგიური  
მოღვაწეობის მოქლე მიმოხილვა)

ვუკოლ მიხეილის ძე ბერიძე გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იყო. მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარებასა და სრულყოფაში. მის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენში მრავალი სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენა – დამუშავება.

ყვართო იყო ვუკოლ ბერიძის, როგორც მეცნიერის, ინტერესების წრე: ტერმინოლოგიის საკითხებთან კრთად იგი წარმატებით იკვლევდა რუსთველოლოგიის საკითხებს, ინტენსიურად მუშაობდა დიალექტოლოგიის დარგში, იგი ავტორია პირველი დიალექტური ლექსიკონისა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

დიდია დამსახურება ვუკოლ ბერიძისა ახალგაზრდების აღზრდის საქმეშიც. მისი ყოფილი მოწაფეები დღეს საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული მეცნიერები არიან.

ვუკოლ მიხეილის ძე ბერიძე დაიბადა ქ. ხონში 1883 წლის 3 ოქტომბერის, წვრილი აზნაურის ოჯახში. მამამისს – მიხეილ დავითის ძე ბერიძეს, რომელსაც კარგად სცოდნია არა მხოლოდ ქართული წერაკითხვა, არამედ გვარიანად რუსულიც, განზრახული პქონია შვილისათვის კარგი განათლება მიეცა, მაგრამ, სამწუხაროდ ეს მას არ დასცალდა. იგი უეც-

რად გარდაიცვალა, როცა ვუკოლი შეიდი წლისა იყო, და მისი განხრახვა ვუკოლის დედამ - ქრისტინე ანჯაფარიძის ქალმა შეასრულა: ჯერ დაწყებით სასწავლებელში მიაბარა, შემდეგ კი - ხონშივე სამასწავლებლო სემინარიაში, რომელიც 1902 წელს დაამთავრა.

1902-1908 წლებში ხონის სემინარიის დამთავრების შემდეგ, ვუკოლ ბერიძე მუშაობდა ქუთაისის საქალაქო სასწავლებელში - დაწყებითი კლასების მასწავლებლად. 1907 წელს ჩაუბარებია საექსტერნო გამოცდები სიმწიფის ატესტატის მისაღებად ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში და 1908 წელს, უკვე 25 წლის ასაკში, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის ქართულ - სომხურ განყოფილებაზე ჩარიცხულა. ამ დროიდან იგი პეტერბურგის სახელგანთქმული ქართველოლოგიური სკოლის საქმიანობის უშუალო მონაწილე გახდა.

ვუკოლ ბერიძის, ისევე როგორც იმდროინდელი დანარჩენი ქართველი სტუდენტების (იოსებ ყიფშიძის, აკაკი შანიძის, გიორგი ჩუბინაშვილის, გიორგი ჩიტაიას, სიმონ ყაუხეჩიშვილის, კარპეზ დონდუას, თამარ და ნინო ლომოურების, გიორგი თარხნიშვილის, ვლადიმერ ფუთურებისა და სხვების) მუშაობას საერთო ხელმძღვანელობას უწევდნენ ნიკო მარი და ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილი.

ვუკოლ ბერიძემ პეტერბურგის უნივერსიტეტში საფუძვლიანი მომზადება მიიღო ქართულ ენასა, ძელ ქართულ ლიტერატურასა და ისტორიაში, სპარსულსა და სომხურ ენებში.

ვუკოლ ბერიძის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რომელიც პეტერბურგიდან იღებს სათავეს, ძირითადად ორი მიმართულებით წარიმართა. ეს იყო,

ერთი მხრით, „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა და, მეორე მხრით, ლექსიკოლოგია-ტერმინოლოგია.

ვუკოლ ბერიძემ ჯერ კიდევ სტუდენტმა, 1911 წელს ქუთაისის გაზეთ „კოლხიდაში“ გამოაქვეყნა თავისი პირველი რუსთველოლოგიური ნაშრომი - ახალი ვარიანტი „ვეფხის ტყაოსნისა“, რომელსაც თვითონვე მიაკვდია.

ვუკოლ ბერიძის სტუდენტობის წლები მისი ცხოვრების ბევრ სხვა საინტერესო ფურცელს გვიშლის: იგი აქტიურად იყო ჩაბმული პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის სამეცნიერო საქმიანობაში, იყო „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის“ წევრი, აქვეყნებდა წერილებს ქართული კულტურის საკითხებზე, მონაწილეობდა ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენაში, რომელიც იგანე ჯავახიშვილის რედაქციითა და საერთო ხელმძღვანელობით განხორციელდა. ეს ბიბლიოგრაფია, რომლის ერთ-ერთი ავტორი-შემდგენელი ვუკოლ ბერიძეც იყო, და რომლის გამოცემასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველოლოგნეობის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად, რუსულ ენაზე 1916 წელს პეტერბურგშივე დაიბეჭდა.

პეტერბურგის უნივერსიტეტი ვუკოლ ბერიძემ 1912 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა.

ვუკოლ ბერიძე პირველი მეცნიერია ქართული დიალექტური ლექსიკის მეცნიერულად დამუშავების დარგში. მან ჯერ კიდევ სირულიად ახალგაზრდაშ უნივერსიტეტის დამთავრების წელს (1912) პეტერბურგის „საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში“ ნიკო მარის რედაქტორობით გამოაქვეყნა ფასდაუდებელი ლექსიკონი „სიტყვის – კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“, რომელიც მეაქვსე

წიგნად შევიდა მარის მიერ დაარსებულ სერიაში:  
Материалы по яфетическому языкознанию შემდეგი  
სათაურით: „Грузинский (краткий) глоссарий по  
имерскому и рачинскому говорам“.

წიგნში წარმოდგენილი მასალა, რომელსაც  
ახლავს პარალელური სხვა ქართველური ენებიდან  
(მეგრულიდან, სვანურიდან), რუსული შესატყვისები,  
ინდექსები სიტყვათა სპარსული, სომხური, თურქული  
და არაბული წარმომავლობის შესახებ, თავს უკრის  
ქართული ენის ორი დიალექტის – იმერულისა და  
რაჭულის ლექსიკურ სიმღიდრეს და ცოცხალი  
სამეტყველო ენის საუკეთესო ნიმუშებს გვაწვდის.

იმის გამო, რომ ეს ლექსიკონი ბიბლიოგრაფი-  
ულ იშვიათობად იქცა, 1986 წელს გამომცემლობა  
„მეცნიერებაში“ კვლავ დასტამბა ამ წიგნის ფოტოტი-  
პური გამოცემა. „ვუკოლ ბერიძის ამ ნაშრომს დღე-  
საც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, – წერს შოთა  
ძიძიგური ამ უკანასკნელი გამოცემის ბოლოსიტყვა-  
ობაში, – მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოცემის  
დროიდან დღემდის ქართულმა ლექსიკოლოგიამ უმა-  
გალითო წარმატებებს მიაღწია, მათ შორის – დია-  
ლექტოლოგიურმა ლექსიკოგრაფიამაც“.

1938 წელს მისი თაოსნობითა და რედაქციით  
გამოიცა გ. შარაშიძის, ბ. წერეთლისა და მიხ. ალა-  
ვიძის მიერ შედგენილი გურული, ზემოიმერული და  
ლეჩხუმური ლექსიკონები.

1912-1918 წლებში ვუკოლ ბერიძე ქუთაისის ქარ-  
თული სათავადაზნაურო გიმნაზიის მასწავლებელია.

ვუკოლ ბერიძის საგიმნაზიო წლების მოდვაწეო-  
ბისა და ბრწყინვალე პედაგოგიური ნიჭის შესახებ  
მაღალ შეფასებას იძლევიან მისი ყოფილი მოწაფე-  
ები, შემდგომში სახელგანთქმული მეცნიერები: არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია, ვარლამ თოფუ-

რია. „ვისაც შემთხვევა პქონია ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში გუეოლ ბერიძესთან ესწავლა – იგონებს აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა, – და შემდეგ სპეციალური ფილოლოგიური განათლება მიეღო, მას არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ ვუკ. ბერიძე უფროსი კლასის მოწაფეებს აწვდიდა ცნობებს ძველი ქართული ენისა, ძევლი ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის შესახებ იმ რიგად და ზოგჯერ ისეთი მოცულობითაც, რომ საშუალო სკოლის გაკვეთიდა საუნივერსიტეტო ლექციას მოგაგონებდათ. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გარჩევა ვრცელი ფილოლოგიური ინტერპრეტაციებით უნივერსიტეტის პროსემინარს ეტოლებოდა“

ქუთაისში ყოფნის დროს ვუეოლ ბერიძეს მჭიდრო კავშირი პქონდა პეტერბურგთან, იქაურ ქართველოლოგიურ სკოლასთან. მის არქივში ინახება ნიკო მარის, იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძის წერილები, რომლებიც სპეციალურ საენათმეცნიერო საკითხებს ეხება. ერთ-ერთ წერილში (1913 წელს) ნიკო მარი და იოსებ ყიფშიძე მას ძევლი ქართული ლექსიკონის მომზადებაში მონაწილეობასა და საამისოდ მარის „Тексты и разыскания“-ს სერიაში გამოცემული ძველი ქართული ტექსტების დამუშავებას სთხოვდნენ.

კერძო ხასიათის ეს წერილები, რომლებიც საინტერესო ინფორმაციას შეიცავს მათი სამეცნიერო ცხოვრებიდან, იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ ამ მეცნიერთა ურთიერთობებსა და მაღალ პიროვნულ თვისებებს ავლენს.

ვუეოლ ბერიძის შეფასება როგორც პიროვნებისა და სპეციალისტისა კარგად ჩანს ივანე ჯავახიშვილის სარეკომენდაციო წერილიდანაც, რომელიც მას (ივანეს) 1916 წელს იმერეთის ეპისკოპოს გიორგი

ალადაშვილისათვის მიუწერია. ამ უკანასკნელისათვის ვუკოლ ბერიძეს ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ქართული ენის მასწავლებლის ადგილი უთხოვია. (ეს წერილი, რომელიც გამოქვეყნებული აქვს პროფესორ სოლომონ ხუციშვილს, მოგვყავს ვახტანგ ბერიძის მოგონებებიდან): „რაკი ამ საქმის გადაწყვეტა თქვენზეა დამოკიდებული, გავკადნიერდები და თქვენს მეუფებას მოვახსენებ, რომ ვუკ. ბერიძე, ეითარცა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ქართულ-სომხურ განყოფილებაზე ნასწავლი, ქართული ენის სპეციალისტი გახდავთ, თავის საგნის მცოდნე და მოყვარული, თანაც მხნე მუშაკი და გულწრფელი მამულიშვილი ... ამიტომ სრული სამართლიანობა იქნებოდა და თვით ძველ ქართულ მწერლობის შესწავლასაც სარგებლობას მოუტანდა, თუ რომ თქვენ ეეთილინებებთ და ქართული ენის მასწავლებლობას სემინარიაში ვუკოლ ბერიძეს მიანდობთ. დარწმუნებული ვარ, რომ იგი თავის მოვალეობას სინდისიერად აასრულებს და დავალებულ საქმესაც პირნათლად გაუძლევება“.

მართლაც, 1917 წლის იანვარში გიორგი ეპისკოპოსმა ვუკოლ ბერიძე ქართულის მასწავლებლად მიიწვია, ხოლო იმავე წლის მაისში იმერეთის ეპარქიის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა ყრილობამ იგი იმერეთის ეპარქიის სასწავლო საბჭოს თავჯდომარედ აირჩია.

1918 წელს ვუკოლ ბერიძე თავის ცოლ-შვილით თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. ვუკოლ ბერიძემ ცოლი ჯერ კიდევ ქუთაისში ყოფნის დროს, 1913 წელს, შეირთო -ელისაბედ (ლიზიკო) ჩხეიძის ქალი, რომელიც მისი ლირსეული მეუღლე იყო. იგი მასწავლებლობდა, მაგრამ გათხოვების შემდეგ ოჯახის ბურჯად იქცა და სამსახურში აღარ დაბრუნვ-

ბულა. 1914 წლის 30 მაისს შეეძინათ ვაჟი – ვახტანგი, შემდგომში სახელგანთქმული, ჩვენი სახიქალულო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

ქართველი საზოგადოება დიდადაა დავალებული ვახტანგ ბერიძისაგან, რომელმაც გამოაქვეყნა უმდიდრესი ფაქტობრივი მასალა არა მხოლოდ ვუკოლ ბერიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, არამედ XX საუკუნის მთელი ქართველი ინტელიგენტების, გამოჩენილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების შესახებ. ეს არის ჩვენს წინ გამდიდრი მთელი ისტორია, აღწერილი ისე, როგორც ეს იყო სინამდვილეში, და გადმოცემული სათუთად, ნატიფად, მაღალი პროფესიონალიზმით, ავტორისათვის დამახასიათებელი სიფაქიზით.

წიგნი [ბერიძე ვ. მოგონებები. –თბ.: საბჭოთა საქართველო, 1987] შეიცავს ყველასათვის უცნობ, დაწვრილებითსა და სანდო ცნობებს ვუკოლ ბერიძის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, იმ კაცის შესახებ, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება საქმისადმი უანგარო სიუვარულს შეალია.

თბილისში ვუკოლ ბერიძემ ჯერ განათლების სამინისტროში დაიწყო მუშაობა განათლების უწყების დირექტორად, 1921 წლიდან კი, 1932 წლამდე განაგრძო სამსახური განათლების სახალხო კომისარიატში. იგი წლების განმავლობაში ედგა სათავეში სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს, რომელსაც ბევრ სხვა საქმესთან ერთად მუზეუმებისა და არქივების მოვლა და კულტურის ძეგლთა პატრონობა ეკისრებოდა.

1922 წელს ვუკოლ ბერიძე რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკიდან ქართულ ფასეულობათა რევვაკუაციის საქმეს ხელმძღვანელობდა.

სამამულიშვილო საქმეებთან ერთად ვუკოლ ბერიძე ერთი წუთითაც არ წყვეტდა კავშირს სამეცნიერო საქმიანობასთან. 1922 წლიდან 1932 წლამდე კითხულობდა ქართული ენისა და ლიტერატურის ლექციების კურსს ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში.

1923 წელს ვუკოლ ბერიძის უშუალო მონაწილეობით დაარსდა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება.

1925 წელს მისი ხელის შეწყობით მოხერხდა გამოცემულიყო „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული“ და სხვ.

1926 წლიდან ვუკოლ ბერიძის სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის საქმეს, რომლის მოგვარებაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად იქცა 1921 წლიდან. ამ დროისათვის (1921 წლიდან) საქართველოს სირ მთავრობის დადგენილებით საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ქართული ტერმინების უნიფიკაციისა და ნორმირების საკითხებზე ზრუნვა პქონდა მინდობილი. ამ სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობა მისი ჩამოყალიბების მოთავეს – ივანე ჯავახიშვილს დაეკისრა.

საბჭოს ხელმძღვანელმა სპეციალისტების დიდი ჯგუფი შემოიკრიბა და მათთან ერთად სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური სალექსიკონი მასალის შემუშავებას შეუდგა. ამ დიდი წამოწყების ერთერთი მონაწილე პუმანიტარ-სპეციალისტებს შორის (კორნელი ეკელიძე, იუსტინე აბულაძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, სერგო გორგაძე...) ვუკოლ ბერიძეც იყო.

ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით პირ-  
ელსავე წლებში ტერმინოლოგიის ხაზით ბევრი  
მნიშვნელოვანი რამ გაკეთდა, უპირველეს ყოვლისა,  
რამდენიმე სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგია  
შედგა და გამოქვეყნდა.

1925 წლიდან სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს  
რეორგანიზაცია მოხდა: განათლების სახალხო კომი-  
სარიატის საბჭოსთან დაარსდა სპეციალური ცენ-  
ტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტი  
(შემდგომში კომისიად წოდებული), რომლის თავ-  
ჯდომარედ ვუკოლ ბერიძე დაინიშნა, ხოლო ივანე  
ჯავახიშვილს საქართველოს საისტორიო და საეთ-  
ნოგრაფიო საზოგადოების ხელმძღვანელობა დაეკი-  
სრა.

1936 წლიდან ცენტრალური სატერმინოლოგიო  
კომიტეტი სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილე-  
ბად გადაკეთდა, რომელიც ჯერ საბჭოთა კავშირის  
მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის  
ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის  
ინსტიტუტის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო 1941  
წლიდან – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადე-  
მიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შემადგენლობა-  
ში შევიდა.

თითქმის სამი ათეული წელი ხელმძღვანელობ-  
და ამ განყოფილებას ვუკოლ ბერიძე და სიკვდილის  
უკანასკნელ დღემდე ამ საქმეს წარმოუდგენელი  
სიყვარულითა და ერთგულებით ემსახურებოდა (დაწ-  
ვრილებით ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

1932 წლიდან საქართველოს სახალხო კომისა-  
რიატის საკვალიფიკაციო კომისიის მიერ ვუკოლ  
ბერიძეს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.  
ამ დროიდან მოყოლებული იგი მუშაობდა თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა

ჯერ ქართული ენისა, ხოლო შემდგომ, რუსთველოლოგიის კათედრის ჩამოყალიბების დროიდან, წლების განმავლობაში – რუსთველოლოგიის ვრცელ კურსებს.

შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ ვუკოლ ბერიძის მეცნიერული გატაცების საგანი იყო, რომელსაც მან თავისი შემოქმედებითი სიცოცხლის დიდი ნაწილი მიუძღვნა.

მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტად დატვირთული იყო, ერთი მხრით, საზოგადოებრივი მუშაობით, ხოლო მეორე მხრით, ტერმინოლოგიურ ფრონტზე გაშლილი მძიმე ლექსიკოგრაფიული საქმიანობით, იგი მუდმივად უბრუნდებოდა „ვეფხისტყაოსანს“ და ზედიზედ აქვეყნებდა რუსთველოლოგიის დარგში მნიშვნელოვანი ხასიათის გამოკვლევებს. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ათეული ნაშრომი, რომელიც ეძღვნება რუსთველოლოგიის, რუსთაველის პოეტიკის, პოემის ტექსტოლოგიის საკითხებს, „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობისა და კომპოზიციის მხარეებს, ავტორის მსოფლმხედველობისა და პოემის ენობრივ თავისებურებებს, ერთი სიტყვით, პოემის შესწავლის თითქმის ყველა ასპექტს. მასვე ეკუთვნის აგრეთვე ვრცელი წერილი „ვეფხისტყაოსნის ხალხურობისათვის“, რომელიც, სპეციალისტების აზრით, სანიმუშოა როგორც საკითხის გადაწყვეტით, ისე ფაქტობრივი მასალის სიუხვითა და ანალიზით.

ვუკოლ ბერიძის სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ბეჭრი ნარკვევი დაიბეჭდა ცალკე ტომად „რუსთველოლოგიური ეტიუდების“ სახელწოდებით 1961 წელს.

მეცნიერის პირად არქივში აღმოჩნდა ვრცელი ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის კომენტარი“, სადაც პოემის პირველ კომენტატორთა მსგავსად (ვახტანგ

მექანიზმები, თეიმურაზ ბაგრატიონი), თანმიყოდვებით განმარტებულია პოემის ტექსტი და ცალკეული სტროფების მიხედვით წარმოდგენილია ტექსტოლოგიური თუ ფილოლოგიურ-ლიტერატურული ხასიათის დაკვირვებანი.

„გეფხისტყაოსნის“ ეს კომენტარები, რომელთა დამთავრება და გამოქვეყნება ვუკოლ ბერიძემ სიცოცხლეში ვერ მოასწრო, უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ, 1974 წელს გამოვიდა სარგის ცარშეილისა და გურამ შარაძის რედაქციით.

ვინ მოთვლის რუსთველოლოგიის საკითხებით გატაცებული და დაუცხრომელი ენთუზიაზმით მოცული ვუკოლ ბერიძე რამდენ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში კითხულობდა საჯარო ლექციებს, მონაწილეობდა მწვავე დისეუსიებში, რომლებიც იმართებოდა ტექსტის შედგენილობისა და ცალკეული ადგილის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში (1936-1938 წლებში) ვუკოლ ბერიძე შეთავსებით მუშაობდა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში, სადაც იყო ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე.

მიუხედავად იმისა, რომ ვუკოლ ბერიძე მაღალი მოქალაქეობრივი ზნეობით ცხოვრობდა, ქამთა სიავის ბედუკულმართობას მაინც ვერ ასცდა: 1938 წელს, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ავადსახსენებელ პერიოდში, იგი დაპატიმრეს როგორც პოლიტიკური დამნაშავე. მეორე დღეს ამავე მიზეზით დააპატიმრეს მისი მეუღლეც.

მართალია, ორი წლის შემდეგ ორივენი გაანთავისუფლეს (ვუკოლი - 1940 წლის ნოემბერში, ხოლო მისი მეუღლე 2-3 თვით ადრე), მაგრამ ადგილი წარმოსადგენია ის ტრავმა, რომელიც მათ მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე გაჰყვათ.

1946 წელს პროფესორი ვუკოლ ბერიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტად იქნა არჩეული. ამ დროისათვის ინტენსიურ სამეცნიერო თუ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ითავსებდა სხვადასხვა ხასიათის საზოგადოებრივ და საორგანიზაციო სამუშაოსაც. ხშირად იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავჯდომარე სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. წლების განმავლობაში იყო სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს წევრი. მის მიერ 1949 წელს დაწერილი ავტობიოგრაფიიდან ვიტყობთ, რომ იგი იყო: „უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტისა და თეატრალური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოების წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო – სატრანსკრიფციო კომისიის, სალიტერატურო ქართული ენის ნორმების დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის, ქართული განმარტებითი ლექსიკონის კომისიისა და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

1953 წელს ვუკოლ ბერიძეს ისევ დიდი უსიამოვნება შეხვდა ლბერიას დაპატიმრებასთან დაკავშირებით, რაც სრულ გაუგებრობაზე იყო დამყარებული: ერთ-ერთ დახურულ წერილში, სადაც ბერიას დაპატიმრების მიზეზებზე იყო ლაპარაკი, ერთ-ერთ ბრალდებად მას სამი ქართველი მეცნიერის (მათ შორის ვუკოლ ბერიძის) პატიმრობიდან გათავისუფლება პქონდა წაყენებული. ამას მოჟყვა ვუკოლ ბერიძის გარიცხვა აკადემიიდან და შესაბამისად მისი სახელის აკრძალვა უველა მის მიერ

შესრულებულ სამუშაოზე, წიგნსა თუ ლექსიკონზე. თუმცა მალე გაირკვა ამ, თავისთავად აბსურდული, ბრალდების უსაფუძვლობა (რის შედეგადაც ვუკოლ ბერიძე კვლავ იქნა აღდგენილი აკადემიაში), ეს, შეიძლება ითქვას, საბედისწერო აღმოჩნდა ვუკოლ ბერიძისთვის. სწორედ ამან დიდად შეარყია მისი ჯანმრთელობა და საბოლოოდ, საფიქრებელია, რომ იგი ამისი მსხვერპლი გახდა.

საგანგებოდ უნდა გამოიყოს ვუკოლ ბერიძის მოღვაწეობა ტერმინოლოგიის დარგში, რადგანაც მისი დამსახურება მეცნიერების ამ უბანზე სრულიად განსაკუთრებულია.

ძნელია აღნუსხვა იმ პრაქტიკული საქმიანობისა, რომელიც ვუკოლ ბერიძეს ტერმინოლოგიის დარგში თავისი ხანგრძლივი და დაუღალავი მოღვაწეობის მანძილზე გაუწევია. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები ამ დროისათვის, როცა იგი იწყებდა მოღვაწეობას, თითქოს უკვე შემუშავებული იყო, მაინც ბევრი რამ ამ მხრივ ჯერ კიდევ გასაკეთებელი მას წინ ჰქონდა. ვუკოლ ბერიძეს უხდებოდა გზადაგზა ლექსიკოგრაფიის თეორიისა და პრაქტიკის მრავალი ახალი საკითხის გადაწყვეტა, ბევრი დარგისათვის ტერმინთა შექმნის საქმეში გაუკაფავი გზის გაკაფვა.

ძეელი თუ ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული დიალექტების ლექსიკის ზედმიწევნითმა ცოდნამ, შერწყმულმა ვუკოლ ბერიძის გამორჩეულ ნიჭისა და ტერმინოლოგიურ ალლოსთან, წლების მანძილზე ტერმინოლოგიის ფრონტის წარმატებით ხელმძღვანელობამ განაპირობა მეცნიერების ამ დარგის სწორ კალაპოტში ჩაყენება, ხოლო თვით მას კი ნამდვილი ტერმინოლოგის სახელი დაუმკვიდრა. ვუკოლ ბერიძის უშუალო ხელმძღვა-

ნელობითა და რედაქტორობით მრავალი დარგის ტერმინოლოგია გამოქვეყნდა (მათი სრული სია იხ. თანდართულ ბიბლიოგრაფიაში).

გარდა ტერმინოლოგიური მოღვაწეობისა, დილია ვუკოლ ბერიძის დამსახურება ტერმინოლოგიის თეორიული საკითხების კვლევის დარგშიც. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე თეორიული ხასიათის ნაშრომი, რომელსაც დღესც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ვუკოლ ბერიძის მიერ 1952 წელს ორ ნაწილად გამოქვეყნებული კრცელი ნარკოვები შემდეგი სათაურით: „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის”, რომელშიც დასმულია ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ზოგადლინგისტური პრობლემები და კონკრეტულ მასალაზე შეჯამებული და განზოგადებული პრაქტიკული მუშაობის შედეგები.

ყურადღებას იქცევს ვუკოლ ბერიძის სხვა ნაშრომებიც, ცალკეულ საკითხებზე გამოთქმული დებულებები, მაგრამ, ვყიქრობთ, ნათქვამიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორი იყო მისი ინტერესების წრფ, რა განუსომელი ამაგი დასდო მან ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების საქმეს ჩვენში.

ტერმინოლოგიის დარგში ვუკოლ ბერიძის მოღვაწეობის შესახებ ზემოთ მოყვანილი მსჯელობა მისი დამსახურების ზოგადი შეფასებაა. კონკრეტულად კი იმის გარკვევა, სახელდობრ, თუ რა წალილი უდევს ვუკოლ ბერიძეს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების საქმეში, იმ სპეციფიკის წარმოჩენა, რომელიც მის მუშაობას ახასიათებდა, იმ მეორედებისა და ხერხების შესწავლა, რომელსაც იგი მუშაობისას იყენებდა, იმ მიზანთადი სირთულეების გაანალიზება, რომლის დაძლევა მას უხდებოდა და ბოლოს, პრაქტიკულად აღნუს-

ხვა ასობით და ათასობით ვუკოლ ბერიძის მიერ შემოღებული ტერმინისა – შემდგომი კვლევის ამოცანაა. ჩვენში დღეს ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ სიტყვები: მივლინება, საშვები, განაშენიანება, შეებულება და ბევრი სხვა ვუკოლ ბერიძის შემოტანილია. დღეს ვერც კი წარმოგვიდგენია, რომ ამ სიტყვების გარეშე ოდესმე არსებობდა ქართული ენა. ვინ მოთვლის კიდევ სპეციალური მნიშვნელობის რამდენი ტერმინია შედგენილი ვუკოლ ბერიძის მიერ.

იმთავითვე გეგმაზომიერად დაწევებული და მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებული ტერმინოლოგიური მუშაობა დღესაც ინტენსიურად გრძელდება არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერულის ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში, რომლის დღევანდველი წარმატებებიც კი ვუკოლ ბერიძის სახელს უკავშირდება.

დღეს ცენტრალური სამეცნიერო კომიტეტის ჩამოყალიბების დროიდან გამოცემულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონთა რიცხვი უკვე 60 ერთეულს აღმატება. მათ შორის არის 1977 წელს გამოცემული, დღეს მოქმედი კრებსითი ტექნიკური ტერმინოლოგია, რომელიც ვუკოლ ბერიძის ხელმძღვანელობით გამოცემული ლექსიკონების ბაზაზეა აღმოცენებული. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ამ გამოცემაში სხვა შემდგენელ-რედაქტორებთან ერთად ვუკოლ ბერიძეს (ხიკვდილის შემდეგ) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1978 წლის 14 სექტემბრის №282 დადგენილებით გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია მიენიჭა.

ოთხმოც წელს იყო მიჩანებული ვუკოლ ბერიძე, როდესაც მას მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

კუკოლ ბერიძე, გარდა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწისა, პიროვნულადაც გამორჩეული ადამიანი იყო. მკაცრი და მომთხოვნი ხელმძღვანელი (საქმისადმი გულგრილობას ან სხვა რაიმე სისუსტეს არ გაპატივიდა). ამავე დროს იყო შემწყნარებელი, თბილი და მამობრივი სიყვარულით გამობარი, მზრუნველი და თავმდაბალი.

კუკოლ ბერიძე გარდაიცვალა 1963 წლის 11 მაისს. მისი გარდაცვალების მეორე დღეს პანაშვიდის შემდეგ გარდაიცვალა მისი მეუღლეც. მათ ისეთი ცოლქმრობა ჰქონდათ, რომ ეს თავისთავად ტრაგიკული ფაქტი თითქოს არავის გაჰკვირვებია. ქართველმა საზოგადოებამ ორივენი დიდის პატივით დიდუბის პანთეონში დაკრძალა.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი  
† რ.ღამბაშიძე

## **ВУКОЛ МИХАЙЛОВИЧ БЕРИДЗЕ**

### **(Краткий обзор жизни и научно-педагогической деятельности)**

Вукол Михайлович Беридзе был выдающимся грузинским ученым, педагогом и общественным деятелем. Он внес большой вклад в развитие и усовершенствование грузинской научной терминологии. С его именем связано в Грузии составление и разработка многих терминологических словарей разных отраслей знания.

Широким был круг интересов Вукала Беридзе как ученого: наряду с терминологическими вопросами, он успешно исследовал вопросы руствелологии, интенсивно работал в области диалектологии. Он автор первого диалектного словаря, который и поныне не потерял своего значения.

Большая заслуга имеется у Вукала Беридзе в деле воспитания молодежи. Его бывшие ученики - сегодня известные и всеми признанные ученые.

Вукол Михайлович Беридзе родился в семье мелкопоместного дворянина-земледельца в г.Хони, 3-го февраля 1883 года. Его отец – Михаил Давидович Беридзе, хорошо знаяший не только грузинскую грамоту, но и прилично владевший русским языком, намеревался дать своему сыну хорошее образование, но, к сожалению, это ему не удалось: он внезапно скончался, когда Вукулу исполнилось только семь лет, и намерение отца пришлось выполнить матери Вукала – Кристине Анджапаридзе. Она его отдала сперва в начальную школу г.Хони, а затем – тамже в учительскую семинарию, которую Вукол Михайлович и

окончил в 1902 году. По окончании Хонской учительской семинарии Вукол Михайлович был учителем в начальных школах в Кутаисском городском училище.

В 1907 г. В.М.Беридзе сдал экзамен экстерном на аттестат зрелости в Кутаисской мужской гимназии и в 1908 г. – уже в двадцатипятилетнем возрасте – поступил на грузинско-армянское отделение Восточного факультета Петербургского университета. С этого момента он был непосредственным участником деятельности Петербургской картвелологической школы.

Работой Вукола Михайловича Беридзе, равно как и остальных грузинских студентов того времени (Иосифа Кипшидзе, Акакия Шанидзе, Георгия Чубинашвили, Георгия Читая, Симона Каухчишвили, Карпеза Дондуа, Тамары и Нино Ломоури, Георгия Тархнишвили, Владимира Путурдзе и других) руководили акад. Нико Марр и молодой Иване Джавахишвили.

В Петербургском университете В.М.Беридзе получил основательную подготовку по грузинскому языку и древнегрузинской литературе, истории, иранскому и армянскому языкам.

Научно-исследовательская деятельность В.М.Беридзе, которая берет свое начало из Петербурга, в основном развивалась в двух направлениях. Это было, с одной стороны, исследование "Вепхисткаосани", и с другой стороны – вопросы лексикологии и терминологии.

В.М.Беридзе, будучи еще студентом, в 1911 году в Кутаисской газете "Колхида" напечатал свою первую руствелологическую работу Новый вариант "Вепхисткаосани", найденном им.

Студенческие годы открывают много интересных страниц из жизни Вукола Михайловича: он активно участвовал в научной деятельности Петербургской картвелологической школы; был членом "Научного кружка гру-

зинских студентов"; публиковал статьи о вопросах грузинской библиографии, подготовленной силами университета под редакцией Иване Джавахишвили. Эта библиография, издание которой имело огромное значение для развития грузиноведения, была напечатана в Петербурге в 1916 году на русском языке (одним из ее автором-составителей и был Вукол Беридзе).

Петербургский университет Вукол Беридзе окончил в 1912 году с дипломом первой степени.

Вукол Беридзе был первым ученым, занимавшимся научной разработкой грузинской диалектной лексики. Он, будучи еще совсем молодым, в 1912 году в Петербургской типографии Императорской Академии Наук под редакцией Нико Марра напечатал словарь (под названием "Грузинский глоссарий по имерскому и рачинскому говорам"), вошедший в шестую книгу, основанную Н.Марром серию "Материалы по яфетическому языкознанию".

В книге представлен материал в котором проведены параллели грузинских наречий (мегрельский, сванский) с русскими аналогами, а также индексы слов иранского, армянского, турецкого и арабского происхождения; охватывает лексическое богатство двух диалектов грузинского языка (имеретинского и рачинского) и дает прекрасные образцы современной речи.

Ввиду того, что эта книга оказалась библиографической редкостью, в 1986 году издательством "Наука" было опубликовано ее фототипное издание. "Работа Вукола Михайловича Беридзе, — пишет Шота Дзидзигури в послесловии данного издания, — и поныне не потеряла своего значения, несмотря на то, что со временем ее издания до настоящего времени грузинская лексикология, в том числе и диалектологическая лексикография, достигла больших успехов".

Позже, в 1938 году, по его инициативе и под его редакцией были изданы "Гурийский, верхнеимеретинский и лечхумские словари", составленные Г.Шарашидзе, Б.Церетели и М.Алавидзе.

С 1912 по 1918 годы Вукол Михайлович работал преподавателем в Кутаисской дворянской гимназии.

Деятельности В.М.Беридзе в гимназии, его блестящим педагогическим способностям высокую оценку дают его воспитанники, впоследствии выдающиеся ученые Арнольд Чикобава, Симон Джанашиа, Варлам Топуриа: "Кто только имел счастье учиться у В.М.Беридзе в Кутаисской гимназии, — вспоминает академик АН Грузинской ССР А.Чикобава, — тот не может не помнить, что В.М.Беридзе давал информацию из области древнегрузинского языка, древнегрузинской литературы и истории Грузии в такой мере и порой в таком объеме, что урок средней школы напоминал университетскую лекцию, а анализ древних памятников, в частности "Вепхисткаосани", уподоблялся университетским просеминариям".

Работая в Кутаиси, Вукол Беридзе поддерживал прочные связи с Петербургом, с Петербургской картвелологической школой. В его архиве хранятся письма Н.Марра, И.Кипшидзе, А.Шанидзе и других, касающиеся специальных лингвистических вопросов и содержащие интересные информации из их научной жизни вообще. В одном из писем (1913 г.) Н.Марр и И.Кипшидзе просили В.М.Беридзе принять участие в составлении и подготовке словаря древнегрузинского языка.

С этой целью проработка и составление материалов древних грузинских текстов, изданных в серии Н.Марра "Тексты и разыскания", было выполнено Вуколом Беридзе.

Эти письма частного характера, содержащие интересные информации из их научной жизни, обращают на себя внимание и в том отношении, что они проявляют

личностные качества этих ученых и показывают их взаимоотношения.

Оценка Вукола Беридзе как личности и специалиста хорошо видна из рекомендательного письма Иване Джавахишвили от 1916 года к Имеретинскому епископу Георгию Аладашвили, к которому Вукол Беридзе обращается с просьбой определить его в Кутаисскую духовную семинарию в качестве преподавателя грузинского языка. (Письмо, публикация которого принадлежит проф. Соломону Хуцишвили, приводится нами из "Воспоминаний" Вахтанга Беридзе): ввиду того, что решение данного вопроса зависит от Вас, позволю себе сообщить вашему преосвященству, что Вукол Беридзе, как обучавшийся на грузинско-армянском отделении восточных языков Петербургского университета, является специалистом грузинского языка, хорошим знатоком своего предмета и любящим его, и вместе с тем – энергичным работником и искренним патриотом.. Поэтому было бы весьма справедливо, и это принесло бы большую пользу в изучении древнегрузинской литературы, если только с Вашего благоволения Вы поручите Вуколу Беридзе быть преподавателем грузинского языка в семинарии. Я уверен, что он свою обязанность выполнит добросовестно и возглавит с честью порученное ему дело".

И действительно, в январе 1917 года епископ Георгий пригласил Вукола Беридзе в качестве преподавателя грузинского языка, а в мае того же года съезд учителей приходско-церковных школ избрал Вукола Беридзе председателем учебного совета Имеретинской епархии.

В 1918 году Вукол Беридзе со своей семьей (женой и сыном) переехал в Тбилиси. Женился он еще в Кутаиси, в 1913 году, на Елизавете (Лизико) Чхеидзе, которая была его достойной женой и другом. До замужества она работала учительницей, а позднее стала опорой семьи и к

педагогической работе уже не возвращалась. 30 мая 1914-го года у них родился сын Вахтанг - известный ученый и общественный деятель нашего времени.

Грузинское общество весьма признательно ему и тем, что он (Вахтанг Беридзе) опубликовал богатый фактический материал, касающийся не только жизни и деятельности Вукола Беридзе, но и всех грузинских интеллигентов, выдающихся ученых и общественных деятелей XX века.

Это – история, прошедшая перед нами, описанная такой, какой она была в действительности и переданная с большой теплотой, любовью и утонченностью.

В книге [Беридзе В. Воспоминания. –Тб.: Сабчота Сакартвело, 1987] содержатся никем еще неиспользованные, подробные и достоверные сведения о личной и общественной жизни Вукола Михайловича, труженика, отдавшего всю свою жизнь безвозмездному служению делу.

В Тбилиси В.М.Беридзе начал работу сначала директором в Ведомстве просвещения, а затем, с 1921 года, с установлением Советской власти по 1932 год – начальником Главнауки Наркомпроса Грузинской ССР, занимавшимся в то время, наряду с другими вопросами, и делами по уходу за музеями, архивами и культурными памятниками.

В 1922 году руководил реэвакуацией грузинских ценностей из хранилищ РСФСР.

Наряду с патриотическими делами В.М.Беридзе ни на миг не прекращал свою научную деятельность,

С 1922 года по 1932 год Вукол Беридзе читал лекции грузинского языка и литературы в Закавказском университете.

В 1923 году с его непосредственным участием было основано грузинское научное общество.

В 1925 году при его непосредственном содействии был издан "Ежегодник грузинского научного общества".

С 1926 года имя В.М.Беридзе тесно было связано с делом создания грузинской научной терминологии, упорядочение которой с 1921 года стало задачей государственного значения. С этого времени (с 1921 года) постановлением правительства Грузинской ССР при Наркомпросе Грузии был организован Государственный Ученый Совет, занимающийся вопросами терминологии. Руководство этим Советом было поручено его создателю – Иване Джавахишвили.

Руководитель Совета собрал вокруг себя большую группу специалистов и вместе с ними приступил к разработке материала терминологических словарей разных отраслей знания. Одним из участников этого начинания, среди гуманитариев-специалистов (Корнели Кекелидзе, Юстине Абуладзе, Иосиф Кипшидзе, Акакий Шанидзе, Серго Горгадзе...), был и Вукол Беридзе.

Под руководством И.Джавахишвили в первые же годы были составлены и изданы терминологические словари разных отраслей.

С 1925 года Государственный Ученый Совет был реорганизован в особый Центральный научный терминологический комитет при Совнаркоме Грузии, руководителем которого был назначен В.М.Беридзе, а И.Джавахишвили было поручено возглавить Историческое и этнографическое общество Грузии.

С 1936 года Центральный научный терминологический комитет снова был реорганизован в специальный Отдел научной терминологии при филиале Института языка, истории и материальной культуры. С 1941 года этот Отдел вошел в состав Института языкоznания АН Грузинской ССР.

В течение почти тридцати лет возглавлял этот Отдел В.М.Беридзе и до конца своих дней служил он этому делу с необычайной любовью и преданностью (об этом подробнее см. ниже).

В 1932 году Квалификационной комиссией Наркомпроса Грузинской ССР В.М.Беридзе было присвоено ученое звание профессора. С этого времени он работал в Тбилисском государственном университете, в котором читал сперва курс грузинского языка, а затем, с учреждением кафедры руствелологии в продолжение нескольких лет – обширный курс руствелологии.

Шота Руставели и его "Вепхисткаосани" были предметом научного увлечения В.М.Беридзе, которому он посвятил большую часть своей творческой жизни.

Несмотря на то, что В.М.Беридзе был чересчур перегружен, с одной стороны общественными делами, и с другой стороны в терминологической сфере развернутой большой лексикографической деятельностью, тем не менее он постоянно возвращался к "Вепхисткаосани" и подряд (одно за другим) публиковал значительные исследования по руствелологии. Его перу принадлежит несколько десятков трудов, посвященных вопросам руствелологии, в частности поэтике Руставели, вопросам текстологии поэмы, ее состава и композиции, мировоззрению автора и языковым своеобразиям поэмы, одним словом, почти всех аспектов изучения поэмы. Ему же принадлежит также обширная статья "К вопросу о народности "Вепхисткаосани", которая, по мнению специалистов, является образцовой как решением вопроса, так и богатством фактического материала и его анализом.

В 1961 году были напечатаны в одном томе очерки, изданные в разное время под названием "Руствелогические этюды".

В личном архиве покойного ученого был обнаружен обширный труд "Комментарии к Вепхисткаосани"; на-подобие ранних комментаторов (Вахтанга VI-го, Теймураза Багратиони) последовательно разъяснен текст поэмы, и по отдельным строфам представлены наблюдения текстологического или филолого-литературного характера.

Эти комментарии к "Вепхисткаосани" окончить и издать Вукол Беридзе не успел при своей жизни; они были опубликованы посмертно в 1974 году под редакцией Саргиса Цаишвили и Гурама Шарадзе.

Кто может сосчитать, во скольких учреждениях и организациях читал публичные лекции увлеченный вопросами руствелологии и охваченный неутомимым энтузиазмом Вукол Беридзе, сколько раз принимал участие в острых дискуссиях, устроенных и проведенных в связи с составом текста и интерпретацией отдельных мест поэмы Руставели.

С 1936 года по 1938 год В.М.Беридзе работал по совместительству завкафедрой грузинского языка и литературы в Батумском учительском институте.

В.М.Беридзе, будучи высоконравственным человеком в тяжелые времена нашего общества, все же не смог избежнуть печальной участии: в 1938 г. он был репрессирован как политически опасный член общества. Такой же участии подверглась и его супруга.

Однако, спустя два года, оба были признаны невиновными и освобождены, хотя травма была нанесена на всю жизнь.

В 1946 году профессор В.М.Беридзе был избран членом-корреспондентом Академии наук Грузинской ССР. К этому времени, вместе с интенсивной научной и педагогической деятельностью, он совмещал разного характера общественную и организационную работу.

Часто Вукол Беридзе назначался председателем Государственной экзаменационной комиссии в разных ВУЗ-ах республики. В продолжение ряда лет был членом разных Ученых Советов. Из его автобиографии, написанной в 1949 году узнаем, что он был: членом Ученого Совета филологического факультета, членом Ученого Совета Института языка, истории и материальной культуры им. акад. Н.Марра, членом Ученого совета Института истории грузинской литературы имени Руставели, членом Ученого совета Театрального института, членом научно-транскрипционной комиссии при Президиуме Верховного Совета Грузинской ССР, членом постоянной Государственной комиссии по установлению норм грузинского литературного языка, членом Комиссии грузинского толкового словаря, членом редакционной коллегии журнала "Иберийско-кавказских языков".

В 1953 г. в связи с арестом Л.Берия у Вукола Бенридзе опять возникли большие неприятности, что было основано на полном недоразумении: в одном из закрытых писем, в котором упоминались причины ареста Л.Берия, одним из обвинений было освобождение из заключения трех грузинских ученых (в том числе Вукола Беридзе). Последовало его отчисление из состава АН Грузинской ССР и запрет упоминания его имени на все выполненные им труды, книги и словари.

Вскоре была установлена безосновательность этого абсурдного обвинения (В.М.Беридзе был восстановлен в составе АН), но тем не менее можно сказать, что этот факт стал роковым для В.М.Беридзе. Надо полагать, что именно это обстоятельство, окончательно пошатнуло его здоровье.

Отдельно надо выделить деятельность В.М.Беридзе в области терминологии, так как его заслуги на этом участке науки совершенно особые.

Трудно описать всю ту практическую работу, которую провел В.М.Беридзе в области терминологии в продолжение всей своей длительной и неутомимой деятельности. Несмотря на то, что основные методологические принципы к тому времени, когда он приступил к работе как будто уже были выработаны, тем не менее В.М.Беридзе приходилось решать многие новые теоретические и практические вопросы терминологической лексикографии. Глубокие знания лексики древнего и современного грузинского литературного языков и диалектов, острое лингвистическое чутье, многолетние навыки терминологической работы способствовали успешной работе ученого в этой области. При непосредственном участии и редактировании В.М.Беридзе были опубликованы многие отраслевые терминологические словари (их полный список см. в приложенной библиографии).

Кроме терминографической деятельности, большие заслуги имеются у Вукала Беридзе и в области исследования теоретических вопросов. Ему принадлежат несколько теоретических трудов, которые и поныне не потеряли своей актуальности. С этой точки зрения обращают на себя внимание его обширные очерки под названием "К грузинской научной терминологии", изданные им в двух частях в 1952 году. В этих работах поставлены общелингвистические проблемы терминологии и на конкретном материале суммированы и обобщены результаты практической работы.

Обращают на себя внимание и другие работы В.М.Беридзе. Отдельные его положения о частных вопросах, думается, дают ясное представление, каким был круг его интересов, какую неимоверную заслугу он оказал делу развития грузинской научной терминологии.

Вышеприведенное суждение о деятельности Вукала Беридзе в области терминологии дает только общую

оценку его заслуг. Конкретно же выяснение того, каково его участие в развитии грузинской научной терминологии, выявление той специфики, которой характеризовалась его работа, изучение тех методов и способов, которыми он пользовался в процессе работы, анализ тех основных трудностей, преодоление которых ему приходилось и, наконец, практическое описание многочисленных терминов в процессе работы - все это является делом будущих исследований.

Сегодня многие могут не знать, что слова: мивлинеба (командировка) сашвеби (пропуск), ганашенианеба (застройка), швебулеба (отпуск) и многие другие введены в употребление Вуколом Беридзе. Сегодня мы не можем себе представить, что без этих слов когда-либо существовал грузинский язык. Кто может сосчитать, сколько узкоспециальных терминов составил В.М.Беридзе.

Поставленная с самого же начала на планомерный и прочный научный фундамент терминологическая работа интенсивно продолжается и в настоящее время в Отделе научной терминологии Института языкоznания имени Ари Чикобава АН Грузии.

Сегодня, со дня учреждения Центрального научного терминологического комитета, число изданных терминологических словарей превышает 60 единиц. Среди них имеется действующая, ныне сводная "Техническая терминология", изданная в 1977 году и основанная преимущественно на базе составленных под руководством В.М.Беридзе терминологических словарей. Именно этим и объясняется тот факт, что наряду с другими составителями-редакторами Академия наук Грузинской ССР 14 сентября 1978 года по постановлению № 282 Комисия присудила В.М.Беридзе (посмертно) премию Георгия Николадзе.

К 80-летию со дня рождения В.М.Беридзе было присуждено звание заслуженного деятеля науки.

В.М.Беридзе, помимо того, что он был ученым и общественным деятелем, отличался своими личными качествами. Строгий и требовательный руководитель (он не мог простить халатного отношения к делу), но в то же самое время он был удивительно теплой, согретой отеческой любовью и скромной личностью.

В.М.Беридзе скончался 11 мая 1963 года. На другой же день, после панихиды, скончалась и его супруга. Никого, кто знал их супружество, не удивил этот сам по себе трагический финал. Грузинское общество похоронило их с большими почестями в Дидубийском Пантеоне.

Доктор филологических наук  
† Р.Б. Гамбашидзе

## VUKOL BERIDZE

### (A Short Review of his Scholarly and Public Activities)

Vukol Beridze was an outstanding Georgian scholar, educationist and public figure. He made a great contribution to the development and perfection of Georgian scientific terminology. The compilation and elaboration of many terminological dictionaries in various branches of knowledge are linked to his name.

Vukol Beridze's scope of interests as a scholar was broad: along with terminological problems, he successfully studied questions of Rustvelology, and worked intensively in the sphere of dialectology. He is the author of the first Georgian dialectal dictionary that has not lost its significance to the present day.

Beridze's contribution to the training of young specialists was considerable: his former pupils are today recognized scholars.

Beridze was born in Khoni on 3 February 1883 into a family of a farming nobleman owning a small estate. His father, Mikheil, being not only well served in Georgian reading and writing but having a fairly good knowledge of Russian, had intended to give his son a good education, in which he unfortunately failed owing to his sudden death when Vukol was only seven years old. It fell to the child's mother, Kristine Anjaparidze, to carry out her deceased husband's wish. She sent Vukol first to the primary school in the town of Khoni, and then to the teachers' seminary in Khoni, from which he

graduated in 1902, upon graduation, Vukol taught elementary grade pupils at the Kutaisi school.

In 1907, passing the examinations as an external student at the Kutaisi secondary school for boys, Beridze received a school-leaving certificate, and in 1908 – at the age of twenty-five – entered the Georgian-Armenian department of the Oriental faculty of Petersburg University. From this time on, he directly participated in the activities of the Petersburg Kartvelological School.

Academician Niko Marr and the young Ivane Javakhishvili directed the work of Vukol Beridze, as well as of the other Georgian students of the period (Ioseb Kipshidze, Akaki Shashidze, Giorgi Chubinashvili, Giorgi Chitaia, Simon Kaukchishvili, Karpez Dondua, Tamar and Nino Lomouri, Giorgi Tarkhnishvili, Vladimer Puturidze and others).

At Petersburg University Beridze received basic training in the Georgian language and Old Georgian literature, history, and Iranian and Armenian languages.

Beridze's research work, commencing in Petersburg, basically developed along two lines: research into Rustaveli's *Man in the Panther's Skin*, on the one hand, and problems of lexicology and terminology, on the other.

While a student, he published (in 1911) in the Kutaisi newspaper "Kolkhida" his first Rustaveli study; "On one Variant of the Man in the Panther's Skin", discovered by him.

Beridze's student years reveal many interesting aspects of his life: he took an active part in the scholarly work of the Petersburg Kartvelological School; he was a member of the "Scholarly Society of Georgian Students"; published articles on problems of the Georgian Bibliography compiled under the general direction and editorship of Ivane Javakhishvili. This Bibliography, the publication of which was of great importance for placing Georgian Studies on a sound footing, was published

in Petersburg in Russian in 1916, Beridze being one of its compilers.

Beridze graduated from Petersburg University in 1912 with a first-degree diploma.

He was the first researcher to undertake a scholarly study of Georgian dialectal vocabulary. While quite young, in 1912, he published his "Georgian Glossary according to the Imeretian and Rachan Dialects", edited by N. Marr. It was printed at the Petersburg printing press of the "Imperial Academy of Sciences", entering the sixth book of the series Materials on Japhetic Linguistics, founded by N. Marr. The material in the Glossary, supplied with parallels from other languages – Megrelian, Svan, and Russian, as well as indication of words of Iranian, Armenian, Turkish, and Arabic origin – covers the lexical wealth of two Georgian dialects (Imeretian and Rachan), presenting excellent examples of the vernacular.

Inasmuch as the "Glossary" had become a rare book, the Metsniereba Press published its phototypic edition in 1986. "Vukol Beridze's work – Shota Dzidziguri wrote in the afterword to this edition, has not lost its value to the present day, although since the time of its publication Georgian lexicography – including dialectological lexicography – has attained considerable successes".

Later, in 1938, Gurian, Upper Imeretian and Lechkhumiyan Dictionaries, compiled by G. Sharashidse, B. Tsereteli, and M. Alavidze, respectively, were published on his initiative and under his editorship.

From 1912 to 1918, Beridze taught at the Kutaisi secondary school for the children of the nobility.

Beridze's work at the Kutaisi secondary school – his brilliant educational abilities – was highly appraised by his pupils, subsequently eminent scholars: Arnold Chikobava, Simon Janashia, Varlam Topuria: "Who was fortunate enough to be taught by Vuc Beridze at the Kutaisi Gymnasium". Acad.

A. Ghikobava reminisced, "cannot but recall that V. Beridze supplied information from the field of the Old Georgian language and Old Georgian literature, and Georgian history in such a way and often in such a volume that a lesson at the secondary school reminded you of a university lecture. The analysis of the text of the *Man in the Panther's Skin* with extensive philological interpretations amounted to a university proseminar".

During his residence in Kutaisi, Beridze maintained close contacts with the Kartvelologioal School in Petersburg. His archive contains letters from Niko Marr, Ioseb Kipshidze, and Akaki Shanidze, dealing with special linguistic problems. In one letter (of 1913) Marr and Kipshidze asked him to take part in the preparation of an Old Georgian dictionary, requesting him to study the Old Georgian texts published in the series "Teksty i Razyskaniya".

